

# ხარისხის ცნება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში

თამარ რობაქიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი

წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ რობაქიძე

26.06.2017

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	3
თემის აქტუალობა.....	4
საკვლევი კითხვები.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
რა არის ხარისხი? .....	10
გამოწვევები ხარისხის განმარტებასთან დაკავშირებით .....	11
ხარისხის განმარტებები.....	13
ხარისხის კლასიფიკაცია საგანმანათლებლო კონტექსტში.....	15
კვლევის მეთოდოლოგია .....	21
კვლევის შედეგები.....	24
შსს აკადემიის შესახებ - მეორადი მონაცემების ანალიზი.....	24
შსს აკადემიის მისია .....	24
შსს ხარისხის სამსახურის მისია.....	26
კვლევის შედეგები.....	28
შედეგების განხილვა და ძირითადი დასკვნები.....	40
რეკომენდაციები.....	42
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი .....	43

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანია დაადგინოს თუ რა არის ხარისხის კონცეფცია და ხარისხის მაჩვენებელი ინდიკატორები სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში (უმაღლესი განათლების მიმართულებით) და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ შინაგან საქმეთა სამინისტროს პროფესორ-მასწავლებლებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და სამართლის სკოლის დეკანთან. კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა ფოკუს ჯგუფი პირველ და მეორე კურსის სტუდენტებთან.

განხორციელებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის კონცეფცია ლექტორებისთვის უკავშირდება შედეგს და ტრანსფორმაციულია. სტუდენტებისთვის ხარისხი უფრო მეტად უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესს, რომელსაც თავის მხრივ ქმნის კვალიფიციური ლექტორები და კარგად შექმნილი დახვეწილი პროგრამები. მაშინ როცა ადმინისტრაცია ხარისხს ძირითადად უკავშირებს მოცემულ სტანდარტებთან შესაბამისობას, მათთვის ხარისხი ძირითადად შენატანთან არის დაკავშირებული. პრაქტიკულად ხარისხის სამსახური ძირითადად დოკუმენტაციების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზეა ორიენტირებული. კვლევისას გამოვლინდა განსხვავებული მოსაზრებები ხარისხის უზრუნველყოფასა და ხარისხის კონტროლის მექანიზმებს შორის პროფესორ-მასწავლებლებსა და ხარისხის სამსახურს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ხარისხი, ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი, უმაღლესი განათლება, დაინტერესებული მხარეები

## **Abstract**

The purpose of this paper is to determine the perceptions of students, lecturers and administration on quality and what they see as an indicator of quality in Higher Education at the Academy of the Ministry of Internal Affairs of Georgia and prepare appropriate recommendations.

Within the research, interviews have been held with lecturers, representatives from the Quality Assurance Department (Head of Quality Assurance Department and Deputy Head of Quality Assurance Department), Dean of the Faculty (Faculty of Law), within the survey, a focus group was also conducted with first- and second-year students.

The analyzed results of the research show that for the lecturers the concept of quality is linked to something “excellent” and it has a transformative nature. Quality for students is related to the educational process, which in turn creates qualified lecturers and well-developed, sophisticated programs. While the administration attributes quality to planned results in compliance with standards. (theoretically). In practice, the quality service is focused on conforming to standards of documentation. The study also shows the different views on quality assurance and control between lecturers and the Quality Assurance Department.

**Keywords:** quality, quality assurance and control, higher education, stakeholders